სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N05/17

ბრალდებულთა და მსჯავდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა
27 01 02
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **7 მაისი 2018 წელი**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „გლობალური მედიცინა"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის - **დავით ბიწაძის** სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N2693 განკარგულების, 2018 წლის 3 მაისის მოხსენებითი ბარათის (MOC 5 18 00392577) 2018 წლის 3 მაისის მოხსენებითი ბარათის (MOC 5 18 00395231) 2018 წლის 4 მაისის მოხსენებითი ბარათის (MOC 6 18 00400091) 2018 წლის 7 მაისის მოხსენებითი ბარათისა (MOC 7 18 00403152) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP170002761 თანხმობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:*

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის ორთოპედიული აქსესუარების შესყიდვა (CPV **კოდი: 33100000 – სამედიცინო მოწყობილობები).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ორთოპედიული აქსესუარები (შემდგომში საქონელი). შესყიდვის ობიექტის ხარისხი, აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.2 ხელშეკრულების 2.1. ქვეპუნქტში აღნიშნული დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **160.55 ლარს (ას სამოცი ლარი და 55 თეთრი).**

3.2 ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს, რომელიც არ იქნება ვადაგასული და უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.3 საქონლის მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მდებარე **ქ. თბილისი, გორგასლის N83ა - ში.**

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება დადასტურდება სასაქონლო ზედნადებში აღწერილი საქონლის მიღებაზე გაფორმებული ორმხრივად ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც

პასუხიმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმების და საქონლის გადაცემის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი მარიამ გრატიაშვილი, ან მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან გენერალური დირექტორი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7.4 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

7.5 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.6 წინასწარ ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7.7 მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.1 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს საქონლის მიწოდების დამთავრების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებული საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ა.შ., როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება;

გ) უზრუნველყოს საქონლის შენახვა მწარმოებლის მიერ დადგენილი ნორმების დაცვით.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი N1- ში გათვალისწინებული საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1 -ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2,5%-ის ოდენობით.

9.2 უხარისხო ან/და ვადაგასული საქონლის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან **2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.5 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

11.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცრებია, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 12.1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.4 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი.

13.2 ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

13.3 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის ან/და უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯებით მისი გამოსწორება.

13.4 ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

13.5 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

13.6 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

13.7 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევებში, თუ:

ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ;

დ) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ვ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

16.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ერთი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის N27, საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 მინისტრის მოადგილე /თეიმურაზ მღებრიშვილი/	**შპს „გლობალური მედიცინა“** მის: ქ. ქუთაისი, გელათის I შეს., N 10 საიდენტიფიკაციო კოდი: 412729258, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, IBAN: GE69TB7911536020100002 დირექტორი (3/5.60001138863) /დავით ბოწაძე/

თარიღი: 7 მაისი 2018 წელი

მიმწოდებელი: შპს „გლობალური მედიცინა“

ხელშეკრულების № 05/17

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ამ ხელშეკრულებით წარმოდგენილ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, გავეცანით და ვეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

1. ---------- თეიმურაზ მღებრიშვილი

2. ---------- გივი ქემოკლიძე

3. ---------- თამთა დემურიშვილი

4. ---------- ალექსანდრე დარახველიძე

5. ---------- გიორგი ციბაძე

6. ---------- სოფიო ბარბაქაძე

7. ---------- რამაზ ციცქიშვილი

8. ---------- ანა ბაქრაძე

9. ---------- მარიამ გრატიაშვილი

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	33141700	8698811084191 40.420 ოპერაციის შემდგომი სარტყელე xl 4191	ცალი	1	21.9000	21.90
2	33141700	8698811084252 40 421 გულ-მკერდის კორსეტი XL4252	ცალი	2	42.0000	84.00
3	33141700	8698811083514 40.161 ზურგის კორსეტი (posturex)-m 3514	ცალი	1	32.7500	32.75
4	33141700	8698811084184 40.420 ოპერაციის შემდგომი სარტყელე l 4184	ცალი	1	21.9000	21.90
		ჯამი:				**160.55**

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

თეიმურაზ მღებრიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „გლობალური მედიცინა"

დავით ბიწაძე

MOC 7 18 00403152

07/05/2018

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ **თეიმურაზ მღებრიშვილს**

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის,
ირაკლი ჩიქოვანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებას ესაჭიროება დანართში მითითებული ინდივიდუალური დანიშნულების ოპერაციის შემდგომი სარტყელი. ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა გადაეგზავნა შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"-ს, შ.პ.ს. ,,გლობალური მედიცინა''-ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა"-ს. სავარაუდო მომწოდებლებისგან მხოლოდ შ.პ.ს ,,გლობალური მედიცინის'' მიერ იქნა წარმოდგენილი შემოთავაზება, რომელშიც მითითებულია მოთხოვნილი ოპერაციის შემდგომი სატყელის ერთეულის ფასი.
გთხოვთ, საქართველოს მთავრობის N2693 განკარგულების საფუძველზე, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განიხილოს წარმოდგენილი შემოთავაზებები და განახორციელოს ერთი ცალი, ოპერაციის შემდგომი სარტყელის შესყიდვა.

დანართი: შ.პ.ს. „გლობალური მედიცინის"-ს შემოთავაზება 1(ერთი) ფაილი

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / ლოჯისტიკის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩიქოვანი

MOC 5 18 00392577

03/05/2018

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ **თეიმურაზ მღებრიშვილს**

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის,
ირაკლი ჩიქოვანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური დეპარტამენტის N5 დაწესებულებას ესაჭიროება დანართში მითითებული ინდივიდუალური დანიშნულების ოპერაციის შემდგომი სარტყელი. ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა გადაეგზავნა შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"-ს, შ.პ.ს. ,,გლობალური მედიცინა''-ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა"-ს. სავარაუდო მომწოდებლებისგან მხოლოდ შ.პ.ს ,,გლობალური მედიცინის'' მიერ იქნა წარმოდგენილი შემოთავაზება, რომელშიც მითითებულია მოთხოვნილი ოპერაციის შემდგომი სატყელის ერთეულის ფასი.
გთხოვთ, საქართველოს მთავრობის N2693 განკარგულების საფუძველზე, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განიხილოს წარმოდგენილი შემოთავაზებები და განახორციელოს ერთი ცალი, ოპერაციის შემდგომი სარტყელის შესყიდვა.

დანართი: შ.პ.ს. „გლობალური მედიცინის"-ს შემოთავაზება 1(ერთი) ფაილი

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / ლოჯისტიკის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩიქოვანი

MOC 5 18 00395231

03/05/2018

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ **თეიმურაზ მღებრიშვილს**

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის,
ირაკლი ჩიქოვანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური დეპარტამენტის N18 დაწესებულებას ესაჭიროება დანართში მითითებული ინდივიდუალური დანიშნულების გულმკერდის ოპერაციის შემდგომი კორსეტი. ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა გადაეგზავნა შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"-ს, შ.პ.ს. ,,გლობალური მედიცინა''-ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა"-ს. სავარაუდო მომწოდებლებისგან მხოლოდ შ.პ.ს ,,გლობალური მედიცინის'' მიერ იქნა წარმოდგენილი შემოთავაზება, რომელშიც მითითებულია მოთხოვნილი ოპერაციის შემდგომი გულმკერდის კორსეტის ერთეულის ფასი.
გთხოვთ, საქართველოს მთავრობის N2693 განკარგულების საფუძველზე, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განიხილოს წარმოდგენილი შემოთავაზებები და განახორციელოს ერთი ცალი, ოპერაციის შემდგომი კორსეტის შესყიდვა.

დანართი: შ.პ.ს. „გლობალური მედიცინის"-ს შემოთავაზება 1(ერთი) ფაილი

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / ლოჯისტიკის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩიქოვანი

MOC 6 18 00400091

04/05/2018

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ **თეიმურაზ მღებრიშვილს**

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის,
ირაკლი ჩიქოვანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული ინდივიდუალური დანიშნულების მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები. ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები გადაეგზავნა შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"-ს, შ.პ.ს. ,,მერმისი''-ს, შ.პ.ს. „იმპექსფარმ"-ს , ს.ს. „გეფა"-ს და შ.პ.ს. „ჰსპ ფარმა"-ს. შ.პ.ს. „გლობალური მედიცინა"-ს, სავარაუდო მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი იქნა შემოთავაზებები, რომლებშიც მითითებულია მოთხოვნილი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების ერთეულის ფასები.
გთხოვთ, საქართველოს მთავრობის N2693 განკარგულების საფუძველზე, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განიხილოს წარმოდგენილი შემოთავაზებები და განახორციელოს დანართში მითითებული დასახელებების შესყიდვა.

დანართი: ს.ს "გეფა"-ს შემოთავაზება 3(სამი) ფაილი
შ.პ.ს. „ჰსპ ფარმა"-ს შემოთავაზება 3(სამი) ფაილი
შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"-ს შემოთავაზება 2(ორი) ფაილი
შ.პ.ს. „იმპექსფარმი"-ს შემოთავაზება 1(ერთი) ფაილი
შ.პ.ს. „გლობალური მედიცინა"-ს შემოთავაზება 2(ორი) ფაილი
შემოთავაზებების შედარებითი ცხრილი

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / ლოჯისტიკის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ირაკლი ჩიქოვანი